განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე:** |
| ლელა ჯაში |
| **წევრ(ებ)ი:** |
| გიორგი უღრელიძე |

## ნაწილი I. შესავალი

***<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>***

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 238146270 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი მუღანლო |
| ფაქტობრივი მისამართი | საგარეჯო, სოფელი მუღანლო |
| საფოსტო ინდექსი | საგარეჯო, სოფელი მუღანლო |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | sagMughanlo@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში) | (+995) 577735925 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 4 25 0001094152, 08/09/2025 - ,,სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ”. |
| ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში) | 7 და 8 ოქტომბერი, 2025წ. |

## VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 4 25 0001094152, 08/09/2025 - ,,სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ" საფუძველზე, განხორციელდა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) გეგმური მონიტორინგი, რომელიც გულისხმობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას.*

*მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას სრულად არ ჰქონდა შემუშავებული შიდა რეგულაციები და შესაბამისი დოკუმენტები, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა სკოლაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნებოდა ადმინისტრაციის მცდელობა საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის მიმართულებით, ექსპერტების მიერ სკოლაში მიმდინარე გარკვეული პროცესების სრული შეფასება ვერ განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია, სკოლამ გააძლიეროს მუშაობა შიდა რეგულაციების ჩამოყალიბებისა და დოკუმენტაციის წარმოების გაძლიერების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესების გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა. ვიზიტის დროს, მათ რეკომენდაციებით მიმართეს დაწესებულებას ინსტიტუციურ სტანდარტებთან დაკავშირებით - ისაუბრეს მათ მნიშვნელობაზე და კონკრეტული ნაბიჯების განხორციელებისკენ მიუთითეს სკოლის წარმომადგენლებს. ხაზი გაესვა სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კომპონენტის გაძლიერებას, სკოლაში მიმდინარე პროცესებში მათ აქტიურ თანამონაწილეობას, რაც, ამ დრომდე, არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი.*

*საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა უზრუნველყო მიღებული მონაცემების სინთეზი და გამოკვეთა მიგნებები, რომლებიც ასახავს დაწესებულების განვითარების მიმართულებით არსებული საჭიროებების კომპლექსურ ანალიზს.*

*ასევე, განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება, რაც მოიცავდა როგორც სასწავლო, ისე დამატებითი სივრცეების შეფასებას. გარდა ამისა, განხორციელდა გასაუბრება პედაგოგებთან და*

*მშობლებთან. ექსპერტების მიმართვის მიუხედავად, ვერ განხორციელდა გასაუბრება სკოლის მოსწავლეებთან. მიღებული ინფორმაცია ინტეგრირებულ იქნა დასკვნაში.*

## VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

| საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|
| 320 | 303 |

## VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

*სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ საკითხებს, რომლებიც სასკოლო საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესია და უშუალოდ უკავშირდება მოსწავლეთა სოციალური, ემოციური და მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნულ კონტექსტში, სკოლა სისტემურად მუშაობს ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა ნაადრევი ქორწინების პრევენცია, ბავშვთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა.*

*ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის კულტურის განმტკიცებას. გარდა ამისა, აღნიშნული საქმიანობა მნიშვნელოვნად აძლიერებს სკოლის როლს ადგილობრივ საზოგადოებაში — როგორც მხარდამჭერი, ღია და პასუხისმგებლიანი საგანმანათლებლო დაწესებულებისა.*

## IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის პროექტი და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები.*

*აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები - 3.1.1.1., 3.1.1.2., 3.1.2.1., 3.1.2.3., 3.1.2.4., 3.4.1.1., 3.4.1.6., 4.1.1.3. რომლებიც ექსპერტების მხრიდან შეფასებული იყო უარყოფითად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეფასდა სრული შესაბამისობით.*

*მეტწილი შესაბამისობით შეფასდა - 1.1.1.1., 1.1.1.2, 1.1.1.3., 1.1.1.4., 1.2.2.2., 1.2.2.3., 3.1.2.2., 3.3.1.4., 3.4.1.1., 3.6.3.1., 3.6.3.4., 3.6.3.5., 4.2.1.1. ინდიკატორები,*

*ვინაიდან, მტკიცებულებების სრულად არ იყო წარმოდგენილი, ექსპერტებს არ მიეცათ საშუალება შეეცვალათ უარყოფითად შეფასებული ინდიკატორების სტატუსი. კერძოდ, 3.2.1.1., 3.2.1.2., 3.3.1.1., 3.6.1.2., 4.2.1.5., 4.2.1.6., 4.2.2.1., 4.2.2.2., 4.2.2.3. ინდიკატორებმა ვერ დააკმაყოფილეს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები.*

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☒ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☒ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N3. 2. 1.1* | *სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები* | *სკოლაში არ არსებობს დოკუმენტურად განსაზღვრული, სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა პერსონალის შეფასებასა და პროფესიული საჭიროებების სისტემურ იდენტიფიცირებას.* |
| *ინდიკატორი N3. 2. 1.2* | *პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად* | *პერსონალის განვითარების მიმართულებით ძირითადად ეფუძნება შემთხვევით გადაწყვეტილებებს, ინდივიდუალურ ინიციატივას ან ადმინისტრაციის მცირერიცხოვან დაგეგმილ ნაბიჯებს, რაც ვერ უზრუნველყოფს სისტემურ, გრძელვადიან და თანმიმდევრულ მიდგომას პროფესიული განვითარების პროცესებში.* |
| *ინდიკატორი N3. 3. 1.1* | *სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს* | *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქტივობები დაწესებულებაში არ ხორციელდება, რაც დადასტურდა როგორც გასაუბრების, ისე დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე.* |
| *ინდიკატორი N3.5.1.4* | *სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს* | *სართულებზე გადაადგილებაც არ არის უზრუნველყოფილი სსსმ მოსწავლეთათვის.* |
| *ინდიკატორი N3.6.1.2* | *ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის* | *სკოლას არ აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსებით/ კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომლიც განსაზღვრავდა მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის* |

| | | |
|---|---|---|
| | *სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად* | *სხვა თანამშრომლების კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების პირობებს.* |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***ხარვეზი*** |
| *ინდიკატორი N4.2.1.5.* | *სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობები წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას* | *დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ სკოლამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია/მტკიცებულებები.* |
| *ინდიკატორი N4.2.1.6.* | *მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას* | *მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლის მიერ მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები.* |
| *ინდიკატორი N4.2.2.1* | *კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის* | *სკოლაში კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება არ ხორციელდება, დირექციამ ვერ წარმოადგინა დამადასტურებელი მტკიცებულებები.* |
| *ინდიკატორი N4.2.2.2* | *სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მა კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით* | *დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით* |
| *ინდიკატორი N4.2.2.3* | *სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს* | *ის, რომ დაწესებულება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს, არ დადასტურდა მტკიცებულებებით.* |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.1.1.1* | *სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან - ,,სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა.* |
| *ინდიკატორი N1.1.1.2* | *სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, რომელიც მიზნად დაისახავს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო, ინკლუზიურ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული გარემოს შექმნასა და განვითარებას - ,,სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა.* |

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.1.1.3* | *სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის საფუძველზე, ,,სსიპ საგარეჯო მუნიციპალიტეტის სოფელ მულანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმეგო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა.* |
| *ინდიკატორი N1.1.1.4* | *სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის გაზიარება ,,სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მულანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმეგო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა.* |
| *ინდიკატორი N1.2.1.4* | *სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია* | *სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიანი გეგმის შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია შესრულების გაზომვადი ინდიკატორების შესახებ, ასევე, ინფორმაციას საჭირო რესურსების თაობაზე - ,,სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მულანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმეგო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.2.2.2* | *მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების შესრულების შეფასება, მათ შორის, სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 აპრილისა.* |
| *ინდიკატორი N1.2.2.3* | *სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების განთავსება სკოლის ვებ. გვერდზე, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 აპრილისა.* |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N3.1.2.2.* | *სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს მექანიზმის შემუშავება რომელიც განსაზღვრავდა პასუხისმგებლობების გადანაწილების წესს თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში და უზრუნველყოფდა პერსონალის ჩანაცვლებას სკოლის შიდა კულტურისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2025 წლის 17 მაისისა.* |
| *ინდიკატორი N3. 3. 1.4* | *სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმის შემუშავება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 17 მაისისა.* |
| *ინდიკატორი N3. 4. 1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის შემუშავება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში_არაუგვიანეს 2026 წლის 17 ივნისისა.* |

| | | |
|---|---|---|
| | ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) | |
| ინდიკატორი N3.6.3.1 | სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით | დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე განახლებული და საჭირო ინფორმაციის განთავსება, რათა უზრუნველყოფილ იქნას  განათლების პროცესში მონაწილე მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის  17 მაისისა. |
| ინდიკატორი N3.6.3.4 | სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას | სკოლამ უზრუნველყოს ელექტრონულ პლატფორმაზე: https://skolebi.emis.ge/ ინფორმაციის  განთავსება აზერბაიჯანულ ენაზეც,  შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის  17 მაისისა. |
| ინდიკატორი N3.6.3.5 | ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, | სკოლამ უზრუნველყოს ელექტრონულ პლატფორმაზე: https://skolebi.emis.ge/ მონაცემების განთავსება  დაწესებულების შესახებ, კერძოდ, ინფორმაცია ფილოსოფიის, სტრუქტურის, |

| | | |
|---|---|---|
| | *ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები დ მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელ მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია* | *პროგრამების შესახებ. აგრეთვე, ჩარიცხვის პროცედურების, გასაჩივრების მექანიზმების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების შესახებ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 მაისისა.* |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N4.2.1.1.* | *სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურების მიმართულებით მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმების შედგენა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 სექტემბრისა.* |

## V. რჩევები

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.1.1.5* | *სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი* | *სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ვებ. გვერდზე სკოლის მიერ შემუშავებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფილოსოფიის განთავსება.* |
| *ინდიკატორი N1.2.1.2* | *სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას) ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს დ მიზნების შესაბამის ამოცანებს* | *მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის კორექტირება - სკოლის მიერ დამტკიცებული ფილოსოფიის შესაბამისად, ასახოს მასში სტრატეგიული მიზნები და შესაბამისი ამოცანები, განსაზღვროს მათი განხორციელების ვადები.* |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N3. 4. 1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო დ.* | *სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტთ. მხრიდან გაიცა რჩევა, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით*<br><br>*შენობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ იმოქმედოს დასკვნაში მითითებული გარემოებების აღმოსაფხვრელად.* |

| | | |
|---|---|---|
| | *სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)* | |
| *ინდიკატორი N3. 5. 1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლ საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინები* | *კლასების ნაწილში განთავსებულია ორ ადგილიანი მერხები, რაც საჭიროებს შეცვლას. რჩევა: მნიშვნელოვანია სკოლამ მიმართოს შესაბამის სტრუქტურებს, რათა ძველი მერხები ჩანაცვლდეს ერთადგილიანით, პერსონალური მერხებით.* |
| *ინდიკატორი N3. 5. 1.3* | *სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით* | *მიზანშეწონილია, სკოლამ ეტაპობრივად განავითაროს ბიბლიოთეკის რესურსი და შეიძინოს მხატვრული, შემეცნებითი და საბავშვო ლიტერატურა, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კითხვის კულტურის განვითარებას და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას.* |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი N....* | | |

***ზოგადი რჩევა:*** *დაწესებულებას მიეცა რჩევა, დოკუმენტაციის დამტკიცებისას გამოიჩინონ მეტი სიზუსტე, ვინაიდან, სკოლის გარკვეულ აქტებში მითითებული იყო სხვა სკოლის სახელწოდება.*

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

| ინდიკატორი | წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი | შესრულდა/არ შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა |
|---|---|---|
| ინდიკატორი 1.2.1.1 | სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 1.2.1.2 | სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს | ნაწილობრივ შესრულდა |
| ინდიკატორი 1.2.1.4 | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.1.1.1 | სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.1.2.1 | პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. | ნაწილობრივ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.1.2.3 | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით | ნაწილობრივ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.1.2.4 | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.3.1.1 | სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.3.1.2 | იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანამანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. | არ შესრულდა |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი 3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას | ნაწილობრივ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.4.1.2 | სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგი დაცვას. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.3.1.4 | სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.4.1.3 | სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.4.1.4 | სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.4.1.5 | სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.4.1.6 | სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.6.1.2 | ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისავდომია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 3.7.1.2 | სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ) სისტემა | შესრულდა |
| ინდიკატორი 4.1.1.3 | მოსწავლესთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 4.1.2.1 | სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამის მექანიზმები | შესრულდა |
| ინდიკატორი N4.2.1.1 | სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. | არ შესრულდა |
| ინდიკატორი 4.2.3.1 | სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. | შესრულდა |

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

*დაწესებულების მისია და ხედვა წარმოდგენილია სხვადასხვა დოკუმენტში განსხვავებული ფორმულირებით. კერძოდ, სსიპ-საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმაში და სკოლის ვებ. გვერდზე, ასევე, ცალკე წარმოდგენილ დოკუმენტში (word - ის ფაილი, სახელწოდებით ,,მისია, ხედვა და ღირებულებები), რაც შეუძლებელს ხდის შეფასებას და შესაბამისობის დადგენას ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. ინდიკატორის შეფასებისთვის აუცილებელია ექსპერტები დაეყრდნონ იმ ვერსიას, რაც ოფიციალურად არის დამტკიცებული სკოლის შიდა რეგულაციებით (სასკოლო-სასწავლო გეგმით), რომელიც ექსპერტების თხოვნის მიუხედავად, არ იყო წარმოდგენილი.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან - ,,სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

*როგორც 1.1.1.1 ინდიკატორის აღწერილობითი ნაწილიდან ირკვევა, დაწესებულების მისია და ხედვა წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დოკუმენტში განსხვავებული ფორმულირებით. ამიტომ, ექსპერტებმა ვერ განიხილეს ოფიციალური ვერსია.*

*შესაბამისად, მათ ვერ დაადგინეს, სკოლის ფილოსოფია მიზნად ისახავდა თუ არა სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო, ინკლუზიურ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული გარემოს შექმნასა და განვითარებას. დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, რომელიც მიზნად დაისახავს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო, ინკლუზიურ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული გარემოს შექმნასა და განვითარებას - „სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

*როგორც უკვე აღნიშნა, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სხვადასხვა ფორმულირებით იყო წარმოდგენილი სკოლის დოკუმენტაციაში. როგორც გაირკვა, არც ერთი მათგანის შემუშავებაში არ იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება - არ იყო შექმნილი სამუშაო ჯგუფი ან/და განხორციელებული სხვა აქტივობები, რომლებიც დაადასტურებდა სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას სკოლის ფილოსოფიის შედგენაში. შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის საფუძველზე, „სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

***სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების არც ერთი ვერსია არ არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ - მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები არ იყვნენ ჩართული მათი ფორმულირებისა და/ან განხილვის პროცესში.*** *დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების დანერგვა, რათა სკოლის ფილოსოფია ყოფილიყო სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის გაზიარება „სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მულანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

*დაწესებულების მისია და ხედვა ხელმისაწვდომია სკოლაში დაინტერესებული პირებისთვის ვებ.გვერდის საშუალებით, რაც გარკვეულწილად განიხილება როგორც საჯარო გაზიარების მექანიზმად. თუმცა, ამ კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იქნას გათვალისწინებული. პირველ რიგში, ვებ. გვერდზე წარმოდგენილი ტექსტი არ არის ოფიციალურად დამტკიცებული, შესაბამისად, მისი სტატუსი გაურკვეველია. გარდა ამისა, ტექსტის სტრუქტურა არ არის მკაფიო – მისია და ხედვა არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული, რაც ართულებს მათ დამოუკიდებელ ანალიზს და გარკვეულწილად ზღუდავს საზოგადოების გაგების შესაძლებლობას.* ***სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ვებ. გვერდზე სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფილოსოფიის განთავსება. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

*სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მულანლოს საჯარო სკოლა.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სსიპ- საგარეჯოს  მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ვებ. გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

***დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია,*** *რომელიც განსაზღვრავდა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესებს.* ***არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად,***

*სკოლამ წარმოადგინა „სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ (დირექტორის ბრძანება N2-12, 13.11.2025წ.) ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

*დაწესებულება წარმოადგინა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა. ვინაიდან, სკოლის მისია და ხედვა წარმოდგენილია სამ სხვადასხვა ვერსიად, ეს შეუძლებელს ხდის განისაზღვროს კონკრეტულად რომელ მისიას ან ხედვას ეყრდნობა ეს დოკუმენტი. თუ განვიხილავთ შვიდწლიან გეგმაში არსებულ ფილოსოფიას, შეიძლება დავასკვნათ, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, წარმოდგენილი სახით, ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. თუმცა, სტრატეგიული გეგმა წლების მიხედვით არ განსაზღვრავს სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანების განხორციელების ვადებს, არასრულყოფილია. შესაბამისად, სამოქმედ გეგმის ფორმირება ამ დოკუმენტის მიხედვით გარკვეულ სირთულეს შექმნის.* ***რჩევა: მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის კორექტირება - სკოლის მიერ დამტკიცებული ფილოსოფიის შესაბამისად, ასახოს მასში სტრატეგიული მიზნები და შესაბამისი ამოცანები, განსაზღვროს მათი განხორციელების ვადები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

*ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა გამოკვეთეს ის საჭიროებები, რაც აუცილებელი იყო სკოლის განვითარების უზრუნველსაყოფად, ასევე, წარმოდგენილი იყო სტრატეგიულ გეგმაში და დაადგინეს მათი შესაბამისობა ერთმანეთთან.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

*ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასში ასახული იყო 7 პრიორიტეტული მიმართულება, მათი მიზნობრიობა, კონკრეტული აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, ასევე, განხორციელების ვადები და მოსალოდნელი შედეგები.* ***ერთწლიანი გეგმა არ შეიცავდა მონაცემებს შესრულების გაზომვადი ინდიკატორების შესახებ, ასევე, ინფორმაციას საჭირო რესურსების თაობაზე. მნიშვნელოვანია, სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიანი გეგმის შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია შესრულების გაზომვადი ინდიკატორების შესახებ, ასევე, ინფორმაციას საჭირო რესურსების თაობაზე - „სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმეგო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-121, 13.11.2025წ. განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

*სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას* ***არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა „სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და***

*სტრატეგიული/სამოქმეგო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია", რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს (დირექტორის ბრძანება N2-12, 13.11.2025წ.) ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

*როგორც უკვე აღინიშნა (ინდიკატორი 1.2.2.1 - ის აღწერილობა),* ***სკოლას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შესაბამისად, ექსპერტები მოკლებული არიან შესაძლებლობას დადებითად შეაფასონ აღნიშნული ინდიკატორი.*** *თუმცა, დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარადგინეს ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსო ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით - თითოეულ აქტივობას მიენიჭა სტატუსი და საბოლოოდ, გაკეთდა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.* ***მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება, მათ შორის, სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 აპრილისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

*მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ წარმოადგინა* ***2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, ისინი არ არის ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის*** *- არ არის საჯარო და შესაბამისად, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დადებითად შეაფასონ ინდიკატორი.* ***მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ უზრუნველყოს 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების განთავსება სკოლის ვებ. გვერდზე, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 აპრილისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

*სტრატეგიული გეგმის განხორციელების ანგარიში სკოლას არ ჰქონდა შედგენილი, ვინაიდან, შვიდწლიანი ციკლის ერთი წელიც არ იყო გასული (როგორც ცნობილია, სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2025-2032 წლებს). რაც შეეხება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელიც განხილულ იქნა ექსპერტების მიერ, დაწესებულების მიერ დადგენილი ატივობების ნაწილი არ შესრულდა, კერძოდ, სასკოლო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა/საჭიროების შემთხვევაში ახლის დამტკიცება, მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება და ა.შ. - 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმაში ნაწილობრივ გათვალისწინებულია, რაც საშუალებას აძლევს ექსპერტებს დაასკვნან, რომ სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

-

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

*დაწესებულებას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობები და რაოდენობა. თუმცა, სკოლას არ აქვს შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა თანამდებობრივ ინსტრუქციებს. ასევე, არ აქვს სქემატურად გამოსახული სკოლის სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავდა თანამდებობების იერარქიას და დაქვემდებარების შესახებ ინფორმაციას. შრომითი ხელშეკრულებები წარმოდგენილ იქნა ვიზიტის პერიოდში, ისინი შეიცავდნენ ინფორმაციას სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობების შესახებ.* ***არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, სახელწოდებით სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის პერსონალის მართვის, თანამშრომელთა მიღების საკვლიფიკაციო მოთხოვნების წესი (დირექტორის ბრძანება N2-119, 10.11.2025წ.), რამაც ინდიკატორის დადებითად შეფასება გამოიწვია. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

***ვინაიდან, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავდა სკოლაში დასაქმებული პირების და სტრუქტურული ერთეულების ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობის ფარგლებს, ექსპერტები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, ობიექტურად შეეფასებინათ შიდა ადმინისტრაციული მექანიზმები და საქმიანობის***

***ეფექტიანობა.*** *მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომელთა შრომითი ფუნქციები ნაწილობრივ განსაზღვრული იყო ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებში, აღნიშნული დოკუმენტები ვერ უზრუნველყოფდა საკმარის სიზუსტეს და სისტემურობას ორგანიზაციული პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრისთვის. შრომითი ხელშეკრულებები, როგორც წესი, ასახავს ზოგად სამუშაო მოვალეობებს და სამუშაოს შესრულების პირობებს, თუმცა ვერ ანაცვლებს იმ დეტალიზაციას, რაც თანამდებობრივ ინსტრუქციებშია გათვალისწინებული. შედეგად,* ***გაურკვეველი რჩებოდა გარკვეული პროცესების კოორდინაციის, გადაწყვეტილების მიღებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების პრინციპები, რაც თავის მხრივ ზღუდავდა ადმინისტრაციული მენეჯმენტის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.*** *აღნიშნული გარემოება მიუთითებს დაწესებულებაში შიდა პასუხისმგებლობების აუცილებლობაზე, რაც შესაძლებელს გახდიდა სამუშაო პროცესების უფრო მკაფიო ორგანიზებას და პერსონალის პასუხისმგებლობის ზუსტად განსაზღვრას.* ***არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, სახელწოდებით სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის პერსონალის მართვის, თანამშრომელთა მიღების საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი (დირექტორის ბრძანება N2-119, 10.11.2025წ.) , რამაც იდნიკატორის დადებითი შეფასება განაპირობა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შრომითი ხელშეკრულებები;

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

*სკოლის არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას. ამიტომ, ვერ დადგინდა პერსონალის მართვის ერთიანი სტრატეგიული ხედვა და მიდგომა. შედეგად, თანამშრომელთა შერჩევის, მოტივაციის, შეფასებისა და პროფესიული განვითარების პროცესები ხორციელდება ფრაგმენტულად, კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული ერთჯერადი გადაწყვეტილებების სახით და არა სისტემურად ჩამოყალიბებული პოლიტიკის ფარგლებში.* *მიუხედავად ამისა, ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც სკოლამ ადამიანის რესურსების მართვის პროცესში გამოიყენა გამართული და გამჭვირვალე პროცედურა — კერძოდ, წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომლის საფუძველზე შეირჩა მასწავლებელი დადგენილი წესისა და სამართლებრივი მოთხოვნების სრული დაცვით. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ სკოლას გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, თუმცა ეს პროცესი საჭიროებს სტრატეგიულ დოკუმენტის შექმნას და პროცესების სისტემატიზაციას.* ***არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, სახელწოდებით სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის პერსონალის მართვის, თანამშრომელთა მიღების საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი (დირექტორის ბრძანება N2-119, 10.11.2025წ.) , რამაც იდნიკატორის დადებითი შეფასება განაპირობა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

*დაწესებულების შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ნაწილობრივ უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. აღნიშნული დოკუმენტები ქმნის სამართლებრივ საფუძველს კონკრეტული შემთხვევების მართვისა და სამუშაო დისციპლინის უზრუნველყოფისთვის. თუმცა, აღნიშნული მექანიზმები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სკოლაში არსებობდეს პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის სისტემური ჩარჩო, რომელიც დაფუძნებულია პერსონალის საჭიროებების ანალიზსა და მიზანმიმართულ მართვაზე. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას არ გააჩნია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რაც ზღუდავს როგორც პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის, ისე ინტერვენციული ნაბიჯების ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას. პოლიტიკის არქონა ქმნის სირთულეს პერსონალის განვითარების საჭიროებების დროული იდენტიფიცირებისა და მიზნობრივი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე,* ***სკოლაში არ არის ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავდა პასუხისმგებლობების***

*გადანაწილების წესს თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში  და უზრუნველყოფდა პერსონალის ჩანაცვლებას  სკოლის შიდა კულტურისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ უზრუნველყოს მექანიზმის შემუშავება რომელიც განსაზღვრავდა  პასუხისმგებლობების გადანაწილების წესს თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში  და უზრუნველყოფდა პერსონალის ჩანაცვლებას  სკოლის არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2025 წლის 17 მაისისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

*სკოლას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა დასაქმებული პირებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და შერჩევის კრიტერიუმებს. აღნიშნული ართულებს პერსონალის შერჩევის პროცესის სტანდარტიზაციასა და თანმიმდევრულად განხორციელებას. საკვალიფიკაციო მოთხოვნების არქონა ქმნის რისკს, რომ კანდიდატთა შერჩევა გარკვეულწილად სუბიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით განხორციელდეს და არა წინასწარ განსაზღვრული პროფესიული კომპეტენციებისა და გამოცდილების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა პოზიტიური შემთხვევა, როდესაც სკოლამ ერთ-ერთი მასწავლებლის შერჩევა განახორციელა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით. შესაბამისი დოკუმენტაცია — მათ შორის კონკურსის გამოცხადების შესახებ დოკუმენტი — ადასტურებს, რომ პროცედურა იყო გამჭვირვალე, სამართლიანი. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ დაწესებულებას გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, გაატაროს კანონთან შესაბამისი შერჩევის პროცედურები. **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, სახელწოდებით სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის პერსონალის მართვის, თანამშრომელთა მიღების საკავლიფიკაციო მოთხოვნების წესი (დირექტორის ბრძანება N2-119, 10.11.2025წ.) , რამაც იდნიკატორის დადებითი შეფასება განაპირობა. ინდიკატორი  აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

*ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.* ***გარდა ერთი მასწავლებლისა, რომელიც ასწავლის დაწყებით საფეხურზე, არ აქვს სტატუსი და მისი საათობრივი დატვირთვა შეადგენს 24 საათს. ასევე, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების საათობრივი დატვირთვა აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრული რაოდენობის და არ არის წარმოდგენილი ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობა აღნიშნულის თაობაზე.*** *დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლის ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.* ***სხვა ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის დადგენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულ პირებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.*** *აღნიშნული დოკუმენტაციის არქონა ართულებს არა მხოლოდ პერსონალის შესაბამისობის შეფასებას, არამედ მომავალში შერჩევისა და პროფესიული განვითარების პროცესების დაგეგმვას.* ***არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, სახელწოდებით სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის პერსონალის მართვის, თანამშრომელთა მიღების საკვლიფიკაციო მოთხოვნების წესი (დირექტორის ბრძანება N2-119, 10.11.2025წ.) . თუმცა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის შესახებ (24 საათი დატვირთვა), წარმოდგენილი იყო სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა მასწავლებლის გამოცდის ტესტის უარყოფითი შეფასების ბათილად ცნობის საკითხი, რაც ექსპერტებისათვის არ წარმოადგენს მტკიცებულებას, ინდიკატორის ამ ნაწილში დადებითი შეფასებისთვის. რაც შეეხება ადმინისტრაციის საათობრივი დატვირთვის შესახებ, წარმოდგენილია ადგილობრივი რესურსცენტრის თანხმობის წერილები. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

*სკოლის სტრუქტურული ერთეულები — სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო — ფუნქციონირებენ და აქტიურად მონაწილეობენ სკოლის საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში. გასაუბრების*

*პროცესში დადასტურდა, რომ მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები თანამშრომლობენ განათლების პროცესის დაგეგმვის, სასწავლო რესურსების შერჩევისა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების საკითხებში. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლაში შექმნილია გუნდის მუშაობისათვის ხელსაყრელი გარემო.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს****.*

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

*გასაუბრების პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, სადაც მიღებულ ცოდნას კოლეგებს აქტიურად უზიარებენ. მათ მოჰყავდათ კონკრეტული მაგალითები, რომელიც ეხებოდა სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მეთოდების გაზიარებას.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

*სკოლას არ აქვს შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის გზებს. შეფასება ხორციელდება ფრაგმენტულად და არა სისტემურ, ერთიანი კრიტერიუმებით. შესაბამისად, ეს ზღუდავს შესაძლებლობას, რეგულარულად გააკონტროლონ თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დონე, და გამოავლინონ კონკრეტული საჭიროებები ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. შედეგად, პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვა ძირითადად ხდება ინდივიდუალურ ინიციატივაზე ან შემთხვევითი საჭიროებებზე დაყრდნობით, რაც ვერ უზრუნველყოფს სისტემურ პროგრესსა და ერთიან სტრატეგიულ განვითარებას.* ***შესაბამისად, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დადებითად შეაფასონ ინდიკატორი, ვინაიდან სკოლაში არ არსებობს დოკუმენტურად განსაზღვრული, სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა პერსონალის შეფასებასა და პროფესიული საჭიროებების სისტემურ იდენტიფიცირებას. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

***ექსპერტთა მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს დოკუმენტურად განსაზღვრული, სისტემური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე.*** *შესაბამისად, სკოლა მოკლებულია შესაძლებლობას გამოავლინოს პერსონალის გაძლიერების ძირითადი მიმართულებები და შეაფასოს მიღწეული შედეგების ეფექტიანობა. ამრიგად, მიმდინარე პრაქტიკა პერსონალის განვითარების მიმართულებით*

*ძირითადად ეფუძნება შემთხვევით გადაწყვეტილებებს, ინდივიდუალურ ინიციატივას ან ადმინისტრაციის მცირერიცხოვან დაგეგმილ ნაბიჯებს, რაც ვერ უზრუნველყოფს სისტემურ, გრძელვადიან და თანმიმდევრულ მიდგომას პროფესიული განვითარების პროცესებში.* ***ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

*პერსონალის კარიერული ზრდის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებიდან ერთ-ერთი მაძიებლობის პროგრამაში ჩართული პირის პროფესიული განვითარებაა. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებაში მუსიკის მაძიებელი პედაგოგი იყო დასაქმებული, რომელიც ტუტორის ზედამხედველობის ქვეშ გაივლის პედაგოგიურ პრაქტიკას და შეფასების საფუძველზე შესაძლებელია აიმაღლოს სტატუსი.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

*ექსპერტთა შეფასებით, სკოლა ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების სწრაფ ადაპტაციას და ინტეგრაციას, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებისას. სკოლაში დამკვიდრებულია ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლების ჩართულობას, კოლეგებთან კომუნიკაციას. ახალი თანამშრომლები იღებენ მხარდაჭერას ადმინისტრაციისა და თანამშრომლებისგან. შედეგად, შეიძლება შეფასდეს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, ვინაიდან სკოლაში არსებობს მიდგომები თანამშრომელთა ინტეგრაციისა და ჩართულობის უზრუნველყოფისთვის.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

*სკოლის შინაგანაწესი, არეგულირებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რაც თანამშრომელთა წახალისების საფუძველი შეიძლება გახდეს. სკოლის დირექციასთან საუბრისას გაირკვა, რომ თანამშრომელთა წახალისება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა და დადებითად აისახება მათ შემდგომ საქმიანობაზე. სკოლის თანამშრომლებთან საუბარშიც დადასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პედაგოგთა წახალისებას, მათ შორის, ფასიანი საჩუქრებითაც.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

*სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. თუმცა, ის პროცესები რომელიც აღწერილია დოკუმენტში, სკოლაში არ ხორციელდება. მაგალითად, აღნიშნული რეგულაციის თანახმად, სკოლაში პროცესები გაწერილია დოკუმენტის სახით და მოიცავს შემდეგ ნაწილებს:*

*პროცესის დასახელება, პროცესის მიზანი და შედეგი, ქვეპროცესები, პროცესში მონაწილე სტრუქტურული ერთეულები/პირები და ა.შ. პროცესი შემუშავდება ამ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პირის მიერ და მტკიცდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. თუმცა,* ***რეალურად ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქტივობები დაწესებულებაში არ ხორციელდება რაც დადასტურდა როგორც გასაუბრების, ისე დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

*სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

*სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. თუმცა, თვითონ დოკუმენტი შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს. ექსპერტებმა ვიზიტისას განიხილეს სკოლაში მიმდინარე რეალური პროცესები, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დაწესებულებაში არ შემოსულა საჩივარი ან განცხადება გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართულებით.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

*სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ასევე, სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. თუმცა,* ***სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ***

***წარმომადგენელს შორის არ არის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრადა მშობლის უფლებების დაცვის მექანიზმებს.*** *მასწავლებელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუში წარმოდგენილ იქნა ვიზიტის პერიოდში, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობების შესახებ, თუმცა, მასში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. ინტერვიუს დროს როგორც პედაგოგებმა, ისე მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა იცავს მოსწავლეთა და მშობელთა უფლებებს. მათ აქვთ თავისუფლება საკუთარი აზრის გამოთქმისა და გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმის შემუშავება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 17 მაისისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მასწავლებელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუში;
- შრომის შინაგანაწესი.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

*სკოლაში მართვის პროცესების გამჭვირვალობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ხელს უწყობს გარკვეული საკომუნიკაციო არხების არსებობა. ინფორმაციის გავრცელება და უკუკავშირის მიღება ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის: საინფორმაციო დაფის, სოციალური ქსელის (სკოლის ფეისბუქგვერდისა და დახურული ჯგუფების), ასევე ელექტრონული ჟურნალისა და სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. მშობლებთან ურთიერთობისთვის ძირითადად სკოლა იყენებს მშობელთა კრებებს.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

*სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებთან ერთად მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან წარმოდგენილები. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც ასევე მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში. და სხვადასხვა ინიციატივების განხორციელებაში. მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, მათი ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *შრომითი ხელშეკრულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

*სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში წესრიგს უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დაკომპლექტებულია მრჩეველთა საბჭო.* ***თუმცა, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით (რჩევა).***

*შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებულია და დირექტორის 2024 წლის 16 მაისის N2-08 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.* ***დაწესებულებას არ წარმოუდგენია მიმართვა ან სხვა რაიმე დოკუმენტი უფლებამოსილ ორგანოსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.***

*სკოლას აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა N5005162424, 29.08.2024წ., რომლის თანახმად (იხ. ამონარიდი) - ,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოსნ საჯარო სკოლის შენობის მარცხენა და შუა ნაკვეთურების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა, შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან. არსებული მდგომარეობით ნაკვეთურების ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცველი, თუმცა ორივე ნაკვეთი საჭიროებს სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას  და საჭიროა გადაუდებლად იყოს აღმოფხვრილი კვლევით ნაწილში მითითებული შენიშვნები, რათა შენობა  მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სეისმურ ნორმებთან. რაც შეეხება ნარჯვენა ნაკვეთურს, მისი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და ასევე შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან, რომელიც საჭიროებს გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარებას სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით.* ***რჩევა: შენობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად,  დაწესებულებამ იმოქმედოს დასკვნაში მითითებული გარემოებების აღმოსაფხვრელად.***

*სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.* ***სკოლის ექიმის კაბინეტი არ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ რეგულაციებს - მასში არ არის შესაბამისი ინვენტარი და მედიკამენტები. დაწესებულებამ უზრუნველყოს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის  მექანიზმის შემუშავება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში_არაუგვიანეს 2026***

*წლის 17 ივნისისა. სკოლამ წარმოადგინა მიმართვა უფლებამოსილ ორგანოსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. კერძოდ, წერილით N876286, 13.07.2023წ. - მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. რაც შეეხება ექიმის კაბინეტს, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი იყო მედიკამენტების შესყიდვის დოკუმენტაცია და ინვენტარი და შესაბამისა, ინდიკატორის ეს ნაწილი დადებითად შეფასდა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

*დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, დასაქმებულია კვალიფიციური ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირველად დახმარებას. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

*დაწესებულება ხელმძღვანელობს 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლის მანდატურები უზრუნველყოფენ შენობის შიდა და გარე პერიმეტრის მონიტორინგს და დარღვევის შემთხვევაში ახორციელებენ შესაბამის რეაგირებას.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

*დამრიგებლები და სკოლის დირექცია ცდილობენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის ისეთი პრევენციული ხასიათის აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც მოსწავლეთა მიმართ ძალადობას, ჩაგვრას, უფლებათა დაცვას ეხმიანება.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

*სკოლაში დასაქმებული ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს სკოლის მთელი პერიმეტრის, მათ შორის, სველი წერტილების სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ეზიმიც ჩართულია მონიტორინგის პროცესში.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

***სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი.*** *თუმცა, სკოლის ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ რეალურად დაცულია სკოლის სკოლაში დასაქმებული პირების, მოსწავლეების და მშობლების პერსონალური მონაცემები. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი.* ***არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-117, 10.11.2025წ.) შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა დადებითად. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

*დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად.,, და ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და დირექტორის 2024 წლის 16 მაისის N2-08 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა N5005162424, 29.08.2024წ.;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- სკოლის ექიმის პირადი საქმე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

*სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა  საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მდებარეობს მისამართზე: რაიონი საგარეჯო, სოფელი მუღანლო. 10257,00 კვ.მ ფართზე განთავსებული შენობა სახელმწიფოს საკუთრებაშია და უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, გადაცემულია სკოლისთვის. შენობა ორსართულიანია და მოიცავს საკლასო ოთახებს, სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკას, დირექტორის კაბინეტს, რესურსოთახს, ექიმის კაბინეტს. შენობა აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით. პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის, ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი. სპორტის გაკვეთილები ტარდება გარე მოედანზე, რომელიც ასევე, არ არის კეთილმოწყობილი, თუმცა, სკოლის პერიმეტრზე გამოყოფილია ადგილი, სადაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ აშენდება სპორტული მოედანი. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 303 მოსწავლე. სკოლის მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბერს საბჭოს სხდომაზე  და  მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 320 მოსწავლით. სკოლის შენობა ყოფილი სკოლამდელი დაწესებულების შენობაა და არ აქვს სტანდარტული წყობა.* ***კლასების ნაწილში განთავსებულია ორ ადგილიანი მერხები, რაც საჭიროებს შეცვლას. რჩევა: მნიშვნელოვანია სკოლამ მიმართოს შესაბამის სტრუქტურებს, რათა ძველი მერხები ჩანაცვლდეს ერთადგილიანით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

*სკოლის შენობა არასტანდარტული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, რაც გარკვეულწილად ზღუდავს სივრცის ეფექტურ განაწილებას - სკოლას არ გააჩნია ფართო საერთო სარგებლობის სივრცეები, რომლებიც სრულად უზრუნველყოფდნენ სასკოლო საზოგადოების წევრთა თავისუფალ გადაადგილებასა და სხვადასხვა ტიპის სასწავლო ან შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებას.*

*ბიბლიოთეკის სივრცე ფუნქციურად მოქმედია, თუმცა რესურსებით შეზღუდულია. სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია. როგორც მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გაირკვა, ლაბორატორია პერიოდულად გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისთვის.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

*სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის ბიბლიოთეკა, გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. როგორც აღმოჩნდა, **სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოები, არ მოიპოვებოდა მხატვრული, საბავშვო ან შემეცნებითი ლიტერატურა. მიზანშეწონილია, სკოლამ ეტაპობრივად განავითაროს ბიბლიოთეკის რესურსი და შეიძინოს მხატვრული, შემეცნებითი და საბავშვო ლიტერატურა, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კითხვის კულტურის განვითარებას და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას (რჩევა). ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

***სკოლის შენობა არ არის ადაპტრებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შესასვლელში არ არის პანდუსი. სართულებზე გადაადგილებაც არ არის უზრუნველყოფილი სსსმ მოსწავლეთათვის.*** *სკოლის პირველ სართულზე განლაგებულია ადაპტირებული სველი წერტილი.* ***არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა გარე პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა, შიდა კიბეებზე გადაადგილება სსსმ მოსწავლისათვის სკოლის შენობაში არ არის უზრუნველყოფილი. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

*დაწესებულება ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ და კულტურულ ჩართულობას სხვადასხვა ღონისძიებისა და პროექტის საშუალებით. ბიბლიოთეკა ამ ეტაპზე მხოლოდ სასწავლო სახელმძღვანელოებით არის უზრუნველყოფილი, თუმცა სკოლა გეგმავს მისი გამდიდრებას მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურით. კომპიუტერული ლაბორატორია ფუნქციურად მოქმედია და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას სკოლაში.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

*დაწესებულების კომპიუტერული ლაბორატორია შენობის მეორე სართულზეა განთავსებული და აღჭურვილია პორტატული კომპიუტერებით. აღნიშნულ ოთახში ხელმისაწვდომია ინტერნეტი (WI-FI). მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ*

*ისინი იყენებენ სასწავლო პროცესში ტექნოლოგიებს. სკოლის ადმინისტრაციის კაბინეტშიც, ვხვდებით პერსონალურ კომპიუტერებს და საბეჭდ მოწყობილობას, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ წარმოებას ტექნოლოგიების გამოყენებით.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

***სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას არ აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსებით/ კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომლიც განსაზღვრავდა მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის სხვა თანამშრომლების კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების პირობებს.*** *საუბრისას, სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ თვითონაც და სკოლის მოსწავლეებიც იყენებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას საჭიროებისამებრ.* ***არგუმენტირებულ პოზიციის საფუძველზე აღნიშნული რეგულაცია არ იყო წარმოდგენილი. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

*სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის N1/ვ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მულანლოს საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს***

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

*სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საშუალებით, პროგრამის -„eflow"-ის მეშვეობით. სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: sagmughanlo@mes.gov.ge – კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/ -ს პორტალზე. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა და დარწმუნდნენ, რომ მისი გამოყენება არის მიზნობრივი და უზრუნველყოფს სკოლის დოკუმენტბრუნვად სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს***

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

*ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. მითითებულია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, არჩეული აქვთ სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს***

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

*სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშების წარდგენას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს*

*სამეურვეო საბჭოს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიში წარედგინება პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ მინისტრს. სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია (სკოლის ბალანსი) ასევე, კანონით დადგენილ ვადებში და წესით, წარედგინება საგანმანათლებლო რესურსცენტრს.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023 წლის 14 ივლისის N1/კ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი;

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

***სკოლის ვებ. გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მწირია და ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას.*** *თუმცა, სკოლა გამოირჩევა სოციალურ ქსელებში მაღალი აქტიურობით - აქ რეგულარულად ქვეყნდება სიახლეები და მიმდინარეობს კომუნიკაცია. სოციალურ ქსელებში შექმნილია ჯგუფები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, რაც ხელს უწყობს ეფექტურ ურთიერთობას და ინფორმაციის სწრაფად გავრცელებას.*

*თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის ვებგვერდი იყოს უფრო ინფორმატიული და განახლებული, რადგან ის წარმოადგენს ოფიციალურ და სანდო წყაროს, რომელიც აუცილებელია გამჭვირვალობის, ნდობისა და განათლების პროცესში მონაწილე მხარეებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე განახლებული და საჭირო ინფორმაციის განთავსება, რათა უზრუნველყოფილ იქნას განათლების პროცესში მონაწილე***

*მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 მაისისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

*მიუხედავად იმისა, რომ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია შეზღუდულია, სკოლა ეფექტურად იყენებს სხვა საკომუნიკაციო არხებს — განსაკუთრებით სოციალურ ქსელს და პირისპირ შეხვედრებს. სოციალური მედიის საშუალებით ხდება რეგულარული ინფორმაციის გაზიარება, ხოლო მშობლებთან და მასწავლებლებთან ორგანიზებული შეხვედრები, კრებები და სატელეფონო კომუნიკაცია უზრუნველყოფს ზუსტ და დროულ ინფორმაციის გაცვლას. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ღია და ორმხრივ კომუნიკაციას, ზრდის ნდობას სკოლასა და მშობელთა საზოგადოებას შორის.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

*სკოლა სხვადასხვა არხით იღებს უკუკავშირს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც პირისპირ შეხვედრებისა და მშობელთა კრებების დროს, ასევე სატელეფონო კომუნიკაციითა და სოციალური ქსელების საშუალებით. მიღებული მოსაზრებები და შენიშვნები სკოლას ეხმარება მიმდინარე საქმიანობის შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში გარკვეული მიმართულებების გაუმჯობესებაში. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებასა და სკოლის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

***სკოლას აქვს ვებ. გვერდი, ელექტრონულ პლატფორმაზე: [https://skolebi.emis.ge/](https://skolebi.emis.ge/) და მასზე განთავსებულია მხოლოდ ქართულ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს აზერბაიჯანული სექტორი. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს***

*სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლამ უზრუნველყოს ელექტრონულ პლატფორმაზე: https://skolebi.emis.ge/ ინფორმაციის განთავსება აზერბაიჯანულ ენაზეც, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 მაისისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

*სკოლის ვებ. გვერდი არ არის ინფორმატიული და დაინტერესებულ პირებს* **არ** *აწვდის სრულ მონაცემებს დაწესებულების შესახებ. არ არის წარმოდგენილი სრული ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, არ აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, გასაჩივრების მექანიზმებს და ა.შ..სკოლამ უზრუნველყოს ელექტრონულ პლატფორმაზე:* **https://skolebi.emis.ge/** *მონაცემების განთავსება დაწესებულების შესახებ, კერძოდ, ინფორმაცია ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, ჩარიცხვის პროცედურების, გასაჩივრების მექანიზმების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების შესახებ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 მაისისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებსდასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებ. გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

*სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. დაწესებულების დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სკოლის ბიუჯეტით, რომლის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაწესებულების სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, სავარაუდო ხარჯები.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს***

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

*დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. ბიუჯეტის და შესყიდვების გეგმის დამტკიცება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით და ვადებში. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის ბუღალტერი. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ბიუჯეტი;
- შესყიდვების გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლას 2025 წლის 7 სექტემბერს დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი. რომელიც ეფუძნება კანონს ზოგადი განათლების შესახებ და იმ ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტებს, სადაც გაწერილია ბავშვის უფლებები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესში ასახულია მოსწავლის*

*მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვები, ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში გაწერილია რეაგირების პროცედურები, ფორმები და სახდელები. შინაგანაწესის მე-11-ე მუხლში მითითებულია მოსწავლის წახალისებისა და გამოყენების წესის შესახებ. ამ შინაგანაწესის თანახმად სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმა-მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილოდოება. მოსწავლის მიმართ შეიძლება ერთდროულად იქნეს გამოყენებული წახალისების რამდენიმე ფორმა. მე-16-ე მუხლში მითითებულია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, რაც მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და უფლებათა დაცვის ხარისხს კიდევ უფრო აუმჯობესებს. ადმინისტრაცია.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები - შინაგანაწესი აქვს სკოლას, გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დაადასტურეს მშობლებმა და სკოლის პედაგოგებმა ექსპერტებთან შეხვედრის დროს. მათ აღნიშნეს, რომ აქვთ ინფორმაცია შინაგანაწესის არსებობის შესახებ.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

***სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას არ აქვს გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.*** *ვიზიტის დროს, ექსპერტების მხრიდან ყურადღება გამახვილდა აღნიშნული ხელშეკრულების საჭიროებაზე. სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უზრუნველყოფენ ხარვეზის გამოსწორებას.* ***არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა 3.***

*მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რამაც განაპირობა ინდიკატორის დადებითი შეფასება. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

*სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესი“, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

*სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა იცავს იმ მექანიზმებს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით. ექსპერტებმა ვიზიტის დროს განიხილეს მობილობის, სტატუსის შეჩერების, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადასვლის დოკუმენტაცია, ასევე, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული შიდა*

*ბრძანებები და დარწმუნდნენ, რომ პროცესები კანონით და სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად მიმდინარეობდა.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

*სკოლას არ აქვს დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ქართული ენის წრე, თუმცა, დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ წარმოადგინეს.* ***ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.***

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

*დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა მოსწავლეთა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე ცდილობს გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ დამატებით, არასავალდებულო მომსახურებას სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს, მოსწავლეთა მშობლებთან პირისპირ შეხვედრების, სოციალური ჯგუფების საშუალებით მათ მიეწოდებათ ინფორმაცია დაგეგმილი აქტივობების შესახებ.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის „მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესი“;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

*სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურების მიმართულებით სკოლაში არ არსებობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმის დამადასტურებელი სასკოლო დოკუმენტი. დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურების მიმართულებით მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმების შედგენა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - არაუგვიანეს 2026 წლის 17 სექტემბრისა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

*მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას არ აქვს შედგენილი მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, ვიზიტის პერიოდში, სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეების ადაპტაციას სასწავლო*

*გარემოსთან ხელს უწყობენ. პირველ რიგში, აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებით დიდია დამრიგებლების როლი, ისინი აცნობენ სასკოლო გარემოს მოსწავლეებს, უზრუნველყოფენ მათ ჩართულობას დაწესებულების მიერ დაგეგმილ აქტივობებში.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

*სკოლაში ვიზიტის დროს, სკოლის დირექციასთან საუბრის დროს გაირკვა, რომ მოსწავლე სკოლიდან იღებს კონსულტაციებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლის პედაგოგებმაც მოიყვანეს არაერთი მაგალითი, როდესაც ისინი დამატებითი მეცადინეობით დაეხმარნენ მოსწავლეებს სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების დასაძლევად. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში ფუნქციონირებს აზერბაიჯანული სექტორი და ქართულის მასწავლებლებს ხშირ შემთხვევაში უწევთ დამატებითი გაკვეთილების შეთავაზება მოსწავლეებისათვის ქართული ენის უკეთ დაუფლებისათვის, ასევე, უცხოური ენების (ინგლისური) პედაგოგემა აღნიშნა, რომ არასაგაკვეთილო დროსაც ეხმარება მოსწავლეებს* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

*სკოლის დირექციამ საუბრის დროს განაცხადა, რომ სკოლაში მოსწავლეებს უფლებებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდებათ ზეპირი ფორმით, მშობელთა კრებებზე ან სატელეფონო კომუნიკაციით. მშობლებმაც გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ სკოლის წარმომადგენლებთან და ფლობენ ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების შესახებ.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

***ვიზიტის დროს დამატებითი/არაფორმელური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ სკოლამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

*მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლის მიერ მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ მხოლოდ ზეპირი მზაობა განაცხადეს სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა. სხვა დადასტურება აღნიშნული, რაც საშუალებას მისცემდა ექსპერტებს დადებითად შეეფასებინათ ინდიკატორი, არ იყო წარმოდგენილი. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინტერვიულ სასკოლო საზოგადოებასთან.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

*სკოლაში კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება არ არის, დირექციამ ვერ წარმოადგინა დამადასტურებელი, შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნეს, რომ აპირებენ ახლომდებარე კოლეჯთან თანამშრომლობას. კოლეჯთან თანამშრომლობის კონკრეტული ვადა ან გეგმა არ წარმოაუდგენიათ. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

*ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით სკოლამ განაცხადა რომ, მომავალში მიაწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას სკოლის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომამადგენლებს. აღნიშნულ ეტაპზე. ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დადებითად შეაფასონ ინდიკატორი. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

*სკოლის დირექციამ განაცხადა, რომ მომავალში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს გაწეული მომსახურების შედეგებს. აღნიშნულ ეტაპზე, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დადებითად შეაფასონ ინდიკატორი. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

*სკოლას აქვს შემუშავებული სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, სკოლას ყავს სსსმ მოსწავლეები და სპეციალური მასწავლებელი. ექსპერტებთან ინტერვიუს დროს სპეც. მასწავლებელმა გამოამჟღავნა კომპეტენცია, აღსანიშნავია, სკოლის სპეციფიკა, რომელიც მდებარეობს ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურ დასახლებაში. სადაც ადგილობრივი მოსახლეობის მნივნელოვანი ნაწილი ვერ ფლობს სახელმწიფო ენას. სპეციალური მასწავლებელი კარგად საუბრობს აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე, რაც მას საშუალებას აძლევს აზერბაიჯანულენოვან სსსმ მოსწავლეებთან წარმატებით იმუშაოს.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

*ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც შედიან როგორც პედაგოგები, ასევე მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიურ ჩართულობასა და თანამშრომლობას. ეს მექანიზმი ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის განვითარების სრულფასოვან მხარდაჭერას, პროგრესის მონიტორინგს და სწავლების პროცესის სისტემურ გაუმჯობესებას სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით. სკოლა უზრუნველყოფს მშობლებთან კომუნიკაციას. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი შვილის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებაში.* ***ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლი გეგმები.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

*დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლაში არ ხორციელდება.* ***ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.***

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

*დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლაში არ ხორციელდება.* ***ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.***

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

*დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლაში არ ხორციელდება.* ***ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი: 03.12.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: